პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
პარასკევი
10 ოქტომბერი
№ 233 (17876)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება

8 ოქტომბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-სირიის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვ. არხიპოვი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი.

სირიის მხრივ — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. რ. კასმი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე ზ. მაშარიკა, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ჯადამი, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ეკონომიკის საკითხებში ა. კ. კადურა, არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მ. თლასი, პროგრესული ეროვნული ფრონტის ცენტრალური ხელმძღვანელობის წევრი დ. ნაამე, პროგრესული ეროვნული ფრონტის ცენტრალური ხელმძღვანელობის წევრი ა. ოსმანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი ი. ჯუიდანი.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში განიხილეს საკვანძო საკითხები ხაბჭოთა კავშირისა და სირიის ურთიერთობისა, რომელიც წარმატებით ვითარდება და რომელმაც მიაღწია მაღალ დონეს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და მისი დამქაშების აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ორი ქვეყნის ხალხთა საერთო ინტერესების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის განვითარების მიღწეული დონის დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელია გადაწყვეტილება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა რწმენა, რომ ხელშეკრულება, რომელიც ლოგიკური შედეგია საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარებისა, განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, კარგ საფუძველს შეუქმნის ყველა დარგში ამ ურთიერთობის ახალ განვითარებას და მხარეების შემდგომ ურთიერთმოქმედებას საერთაშორისო საქმეებში, უწინარეს ყოვლისა, ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი, მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის, ამ რეგიონში საერთაშორისო დაძაბულობის საშიში კერის მოსპობის საკითხებში.

პრეზიდენტმა ჰ. ასადმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად უჭერს მხარს სირიას სოციალური პროგრესისათვის, ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში და თქვა, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებას, რომელიც დასაბამს აძლევს ახალ ეტაპს, სირია-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში.

მოლაპარაკების დროს დეტალურად განიხილეს ახლო აღმოსავლეთის ახლანდელი მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს არაბი ხალხებისა და მათი მეგობრების და მოკავშირეების ბრძოლა კაპიტულანტური გეგმების, კემპ-დავიდის მოღალატური მორიგების ჩაშლისათვის. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართოს ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ვითარების ყოვლისმომცველი სამართლიანი მოწესრიგებისათვის ამ რეგიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. მოლაპარაკების დროს შეეხნენ აგრეთვე ამ რაიონში მშვიდობის განმტკიცებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხს.

8 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობის და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა;

სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელით — არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურმა მდივანმა, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰაფეზ ასადმა.

ხელშეკრულების ხელის მოწერას ესწრებოდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ა. ა. გრომიკო, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი და სხვა ოფიციალური პირები.

სირიის მხრივ — ჰ. ასადის თანმხლები სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 8 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალურ მდივანს, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰ. ასადს.

ჰ. ასადთან ერთად სადილად იყვნენ სირიის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები, აგრეთვე სირიის არაბთა რესპუბლიკის მოსკოველი ელჩი ჯაბრ ალკაფრი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სადილზე სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო პრეზიდენტო!

ძვირფასო სირიელო მეგობრებო!

ამხანაგებო!

გულითადად მოგესალმებით თქვენ, ამხანაგო ასად, და თქვენთან ერთად ჩამოსულ მეგობარი სირიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

საბჭოთა კავშირისა და სირიის მეგობრობა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება, თითქოს სიმბოლურად გამოხატავს თანამედროვეობის ორი უდიდესი ძალის — სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ერთიანობას, მათს თანამოქმედებას საყოველთაო მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

მას შემდეგ, რაც სირიელმა ხალხმა თავის ქვეყანაში თავისუფლების დროშა აფრიალა, საბჭოთა კავშირი მუდამ უწევდა მას აქტიურ მხარდაჭერას ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში, იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების გამოხდომების მოგერიებაში.

საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობა განუხრელად ვითარდება აღმავალი ხაზით, სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება.

დღეს ჩვენ გადავდგით ახალი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი — ხელი მოვაწერეთ საბჭოთა კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ეს უბრალოდ ჩვენი ურთიერთობის განვითარების სადღეისო შედეგის შეჯამება როდია. ხელშეკრულებას ჩვენი ურთიერთობა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. და ჩვენ დიდად ვიფასებთ ინიციატივას, რომელიც საამისოდ გამოიჩინა სირიის მხარემ და გამოიჩენთ პირადად თქვენ, ამხანაგო პრეზიდენტო.

საერთაშორისო თვალსაზრისით საბჭოთა კავშირ-სირიის ხელშეკრულება მოწოდებულია ხელს უწყობდეს ახლო აღმოსავლეთში ვითარების გაჯანსაღებას, ამ რეგიონში ჭეშმარიტი, სამართლიანი მშვიდობის დამყარებას. ხელშეკრულებას არა აქვს რაიმე სხვა მიზანი, იგი არ არის მიმართული მესამე ქვეყნების წინააღმდეგ. ეს არის ხელშეკრულება სამშვიდობო და არა — საომარი.

არაბული სახელმწიფოებისა და ხალხების უშიშროებას საფრთხეს უქმნიან ისინი, ვინც ცდილობს თავს მოაჭიოს მათ მტაცებლური, დამპყრობლური პირშეკვრა, ვინც შანტაჟს უწევს მათ სამხედრო ბაზებით და გზავნის მათი ნაპირებისაკენ სამხედრო ხომალდებს, ვინც ანგარებით მიზნებისათვის იყენებს ამ რეგიონის კონფლიქტურ კერებს.

ამის უკანასკნელი მაგალითია იმპერიალისტთა საშიში ინტრიგები და მილიტარისტული მაქინაციები ერაყ-ირანის საომარ კონფლიქტთან დაკავშირებით. იმპერიალისტებს სწადიათ ლახვარი ჩასცენ არაბთა ერთიანობას, თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ თითოეული მეომარი მხარე, აღიდგინონ ბატონობა ირანში.

ასეთ პოლიტიკას საბჭოთა კავშირი ყოველთვის საკადრის პასუხს სცემდა და ახლაც გასცემს. მოხარული ვართ, რომ ჩვენ აქაც ერთიან პოზიციას ვადგავართ სირიასთან და სხვა ნამდვილად მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოებთან ერთად.

ჩვენ არ ვაპირებთ ჩავერიოთ ირანისა და ერაყის კონფლიქტში. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ეს კონფლიქტი რაც შეიძლება მალე გადაწყვეტოს. პოლიტიკური გზით ამ ორმა ქვეყანამ. და ჩვენ მტკიცედ ვუცხადებთ სხვებს: ნუ ეჩრებით ამ ამბებში.

სპარსეთის ყურის რაიონი, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი სხვა რაიონი, — ეს არის სწორედ ამ რეგიონში მდებარე სახელმწიფოების, და არა რომელიღაც სხვა ქვეყნების საარსებო ინტერესების სფერო. და არაევი არა აქვს უფლება ეჩრებოდეს მათს საქმეებში, იჩემებდეს მათი მეურვეების თუ თვითმარქვიალ „წესრიგის გუშაგების“ როლს.

აი, ეს უნდა გვახსოვდეს, და მხოლოდ მაშინ შეეძლებთ სამართლიანად გადაეჭრათ ამ რაიონის პრობლემა ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის ინტერესებისათვის, იქნება ეს პოლიტიკის თუ ეკონომიკის სფერო.

ახლანდელ რთულ ვითარებაში განსაკუთრებით საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ მშვიდობის ღამკვიდრებლად, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად.

ეს, რა თქმა უნდა, მთლიანად განეკუთვნება ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების ამოცანასაც.

კარგად არის ცნობილი, თუ რა არის საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. არაბებს ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად უნდა დაუბრუნოს ისრაელმა მთელი ის მიწა-წყალი, 1967 წელს რომ წაართვა, მათ შორის, იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილი.

პალესტინის არაბ ხალხს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სრულად განახორციელოს თავისი ეროვნული უფლებები, კერძოდ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

არ შეიძლება უზრუნველყოფილ ერთთა უსაფრთხოება, თუ ფეხქვეშ გათელე მეორეთა უფლებები. დროა, ისრაელის ხელმძღვანელობამ შეიგნონ ეს უბრალო ჭეშმარიტება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახლო აღმოსავლეთში ნამდვილად სამართლიანი მოწესრიგების ძნელი ამოცანების გადაწყვეტას კარგ წვლილს შემატებდა საბჭოთა კავშირის, სირიისა და სხვა არაბული სახელმწიფოების მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განვითარება.

ნება მიბოძეთ, ვადღეგრძელო არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხანაგი ჰაფეზ ასადი,

ვადღეგრძელო ყველა აქ დამსწრე სირიელი ამხანაგი,

ვუსურვო ახალი წარმატებანი მეგობარ სირიელ ხალხს,

მეგობრობა და თანამშრომლობა — საბჭოთა კავშირისა და სირიის!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ჰ. ასადმა.

ამხანაგ ჰაფეზ ასადის სიტყვა

ამხანაგო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

მეგობრებო!

უღრეველი მეგობრობის გრძნობით, რომელიც აკავშირებს ჩვენს ორ ქვეყანას, და გულწრფელი თანამშრომლობის ვითარებაში, რაც ახასიათებს სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, ჩამოვედით დღეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით.

ესეც არის მოვისმინეთ ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვა, რომელშიც დადასტურებულია ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა, გამოხატულია საბჭოთა კავშირის გრძნობები ჩვენი ქვეყნის მიმართ.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით და პირადად მადლობას მოვახსენებ ამხანაგ თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევს, გულითადი მოსალმებისა და მაღალი შეფასებისათვის, რომელიც მან მისცა სირიის არაბთა რესპუბლიკის პოზიციას.

ეჭვი არ არის, რომ ახლანდელი ვიზიტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომლითაც გამოირჩევა ყველა სხვა წინანდელი ვიზიტისაგან. ამას ადასტურებს ის დოკუმენტი, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი და რომელიც თვისებრივი ძვრაა საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობაში, განსაზღვრავს ფარგლებს ორი ქვეყნის განსაკუთრებული ურთიერთობისათვის.

(დასასრული მე-3 გვ.).

ჩუთწლედი — ვადამდე!

XXVI სკკპ ყრილობის შესახვედრად

შევეგებოთ ეროვნული ეკონომიკური ბალანსი ნოგათებით!

საქმეს გამოაჩინა

საწარმოო გაერთიანება „ცარწანისის“ კოლექტივი თავდადებით იბრძვის სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების ღირსეულად შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. საწარმოო დავალებები აქ მხოლოდ გადაჭარბებით სრულდება. გაერთიანებაში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი საამქრო, ბრიგადა და მუშა. შრომაში გამოირჩევიან მქსოველი გ. ბასილაშვილი, ქვეოსტატი შ. გოშაძე და მქსოველი ე. ქოროლლიშვილი, ჩვენი ფოტოკორესპონდენტის თ. ნიკოლაიშვილის ფოტოზე სწორედ ეს ადამიანებია აღბეჭდილი.

ზვრების ბარაქა

რთველი-80

უურძნის დამზადების 1980 წლის გეგმა-ვალდებულების შესრულება (ტონოობით)

მეღვინეობის სამრეწველო გაერთიანების „სამტრესტის“ 9 ოქტომბრის ცნობა

რაიონები	გეგმა-ვალდებულება	შესრულება	მოკრეფილ. 8 ოქტომბერს
გურჯაანის	150.000	151.298	662
თელავის	90.000	89.089	2.037
ყვარლის	76.500	74.075	580
სიღნაღის	65.000	66.993	279
ახმეტის	55.000	44.812	2.498
წითელწყაროს	50.000	51.529	58
საგარეჯოს	35.500	24.056	1.611
ლაგოდეხის	16.250	17.462	—
გარდაბნის	10.500	5.558	213
მარნეულის	22.000	22.930	47
ბოლნისის	15.500	15.256	36
თეთრი წყაროს	3.000	1.205	298
მცხეთის	15.000	3.788	535
დუშეთის	2.800	723	123
კასპის	10.000	1.111	311
გორის	5.000	300	300
ხაშურის	6.200	3.164	289
ქარელის	450	12	12
სამხრეთ ოსეთის ა. ო.	800	156	40
ორჯონიკიძის	7.000	232	—
ზესტაფონის	30.000	5.195	1.570
თერჯოლის	25.000	6.610	1.392
მაიაკოვსკის	20.000	3.707	795
ვანის	20.000	4.660	1.560
საჩხერის	7.000	1.092	245
ჭიათურის	2.100	109	8
სამტრედიის	2.500	455	166
წყალტუბოს	4.000	1.066	426
წულუკიძის	800	37	5
ტყიბულის	500	78	34
ჩოხატაურის	3.700	137	34
მახარაძის	800	61	13
ლანჩხუთის	160	12	1
გეგეჭკორის	2.500	99	8
ცხაკაიას	1.200	308	56
ჩხოროწყუს	1.100	183	127
ზუგდიდის	2.000	65	48
ამბროლაურის	3.700	797	206
აფხაზეთის ასსრ	10.000	765	765
აჭარის ასსრ	1.900	544	132

სულ კახეთის რაიონებში რთველის დაწყებიდან მოკრეფილია 519.313 ტონა ყურძენი. 8 ოქტომბერს რესპუბლიკაში მოიკრიფა 17.520 ტონა.

რესპუბლიკაში 9 ოქტომბრისათვის სულ მოკრეფილია 599.728 ტონა, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 181.769 ტონით მეტი.

500 ათასი ტონა ჩაისათვის

მოთავეები ეშურებიან

ზუგდიდი. (საკ. კორ. გ. ნოდია.). მეჩაიეები და მექანიზატორები ეშურებიან სიტყვა საქმედ აქცონ, სეზონის ბოლომდე მოკრიფონ და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩააბარონ ახალი, ვალდებულებით ნაკისრი 67-70 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლები.

ამინდის ჭირვეულობის — წყალდიდობის და კოკისპირული წვიმების მიუხედავად, სახელოვანი მეჩაიეები უამინდობას როდი ეპუებიან. ადრე დილიდან გვიან ღამამდე პლანტაციებს არ ტოვებენ.

რაიონში მოკრეფილია 61.014,8 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან 2.700 ტონით მეტი. ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი არ ნელდება. სასახელოდ შრომობენ კახათელი, რუხელი, ახალსოფლელი, ახალკახათელი, ინგირელი, კოლხიდელი, ცაიშელი, დარჩელელი, ნარაზენელი და რაიონის სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მეჩაიეები და მექანიზატორები.

კვლავ მოუღლელად შრომობენ ზუგდიდის ჩაის ფაბრიკების გაერთიანების (გენერალური დირექტორი — რ. ივარდავა) მუშაკები, რომ ფაბრიკებში მოზღვავებული ჩაი მაღალხარისხოვნად და დროულად გადაამუშაონ. მეჩაიეებს მხარი უსწორონ.

რკინიგზელთა ვახტი

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელები, რომლებმაც ცხრა თვის გეგმის გადამეტებით გადაზიდეს და აღრესატებს ჩააბარეს 460 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, განსაკუთრებული აღფრთოვანებით შრომობდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს. მაგალითად, თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეებმა მარტო 7 ოქტომბერს წაიყვანეს გაცილებით მეტი მატარებელი, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში და გეგმის გადამეტებით გადაიტანეს 8500 ტონა სახალხო-სამეურნეო პროდუქცია. თავი გამოიჩინეს მემანქანეებმა — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. კაკაბაძემ, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა პ. კუბრეიშვილმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ა. გ. ვაშაკიძემ და სხვებმა, რომლებიც 1981 წლის ანგარიშში შრომობენ.

საამაყო წარმატებები მოიპოვეს სამტრედიელმა რკინიგზელებმაც, განსაკუთრებით მემანქანეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ელისაშვილი. (საქინფორმი).

სურათზე: ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

საკდეს-საქინფორმის ფოტო.

ძმური მისალმება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ძმური მისალმება გაუგზავნა კორეის შრომის პარტიის VI ყრილობის დელეგატებს და მხურვალედ მიულოცა კორეელ კომუნისტებსა და მთელ კორეელ ხალხს ღირსშესანიშნავი იუბილე — კორეის შრომის პარტიის 35-ე წლისთავი.

მისალმებაში ნათქვამია: კორეის განთავისუფლებისთანავე შრომის პარტიის შექმნა იყო თქვენს ქვეყანაში კომუნისტური მოძრაობის განვითარების კანონზომიერი შედეგი. თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე პარტია სათავეში ჩაუდგა ახალი ცხოვრების აშენებისათვის განთავისუფლებული ხალხის ბრძოლას. განვლილი 35 წლის მანძილზე კორეელმა მშრომელებმა კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ძირეულად შეცვალეს თავისი ქვეყნის სახე. კორეის ჩრდილოეთ ნაწილში მოისპო იაპონიის კოლონიური ბატონობის შედეგები, განხორციელდა რევოლუციური გარდაქმნები და შეიქმნა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა. კორეელმა ხალხმა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხელებთან თანამშრომლობით ისტორიულად მოკლე ვადაში მოახდინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. კოლექტიურ საფუძველზე განამტკიცა სოფლის მეურნეობა, უზრუნველყო კულტურის სწრაფი განვითარება.

საბჭოთა კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს გულწრფელად ახარებს მომძე კორეელი ხალხის ეს მიღწევები. ღრმა ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობით უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას სამხრეთ კორეიდან ამერიკის საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის, რომელთა ყოფნა არა მარტო აბრკოლებს თქვენი გათიშული სამშობლოს შეერთებას, არამედ ამწვავებს დაძაბულობასაც, საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას აზიის ამ რაიონში.

დიდ წარმატებას ვუსურვებთ მუშაობაში კორეის შრომის პარტიის VI ყრილობას. დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობს კორეის სახოგადოების შემდგომ განვითარებას, სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სულითა და გულით ვუსურვებთ კორეელ კომუნისტებს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ახალ მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, ეროვნული ამოცანის გადაწყვეტაში — გარედან ჩაურევლად, მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძველზე ქვეყნის გაერთიანებაში.

ღირსშესანიშნავი თარიღის წინ

საიუბილეო კომისიის სხდომა

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი ამ დღეებში აღნიშნავენ დიდი ქართველი პოეტის, მეგობრობისა და ძმობის მგზნებარე მომღერლის დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავს. საბჭოთა ადამიანებს შესანიშნავი ტრადიცია აქვთ: ერთი მოძმე ხალხის დღესასწაული ქვეყნის ყველა ხალხის დღესასწაულად იქცევა ხოლმე. ეს ღრმად სიმბოლურია: ერთი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა ხომ სამართლიანად იქცევა ყველა საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად — ასეთია სოციალისტური ცხოვრების წესის თავისებურება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ჩერქეზიას თავმჯდომარეობით გაიმართა საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისიის სხდომა.

ზეიმობა დაიწყება 11 ოქტომბერს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში. შემდეგ ქართველი ლიტერატორები, მოსკოვიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული სტუმრები გვირგვინებით შეამკობენ შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის ძეგლებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნება საქართველოს მწერალთა კავშირის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო სამეცნიერო სესია.

12 ოქტომბერს საიუბილეო ზეიმობის მონაწილენი ეწვევიან სურამს, დაათვალიერებენ ლესია უკრაინკას რესტავრირებული სახლ-მუზეუმის განახლებულ ექსპოზიციას. ამ პოეტის სახელი ხომ უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის სიმბოლოდ იქცა. აქ ლესია უკრაინკას ძეგლთან გაიმართება სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატორების ძმობის მიტინგი.

შემდეგ მწერლები მონაწილეობას მიიღებენ კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში გამართულ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულში „გურამიშვილობაში“.

13 ოქტომბერს მხატვრის სახლში გაიხსნება დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი ექსპოზიცია. ქართველი მწერლები და მათი სტუმრები დათვალიერებენ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს. ნაშუადღევს საგურამოში, სადაც დიდი პოეტი დაიბადა, გაიმართება შეხვედრა მცხეთის რაიონის მშრომელებთან.

ზეიმობა დამთავრდება თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული დიდი საიუბილეო საღამოთი.

15 და 17 ოქტომბერს დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავი აღინიშნება მირგოროდსა და კიევში. 20 ოქტომბერს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართება ამ თარიღისადმი მიძღვნილი საღამო, ხოლო მეორე დღეს ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში მოეწყობა პოეზიის საღამო ქართველ მწერალთა მონაწილეობით.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გამოვიდა მთელი რიგი საინტერესო წიგნები, მათ შორის პოემა „დავითიანის“ აკადემიური გამოცემა, ნ. ზაბოლოცკის

დიდი ქართველი პოეტის 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ეს საიუბილეო პლაკატი (მხატვარი — ნ. მალაზონია, რედაქტორი — ნ. გელოვანი) ამ დღეებში გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

● ●

მიერ თარგმნილი დავით გურამიშვილის „ლექსები და პოემები“ და სხვა წიგნები. ეს წიგნები საიუბილეო დღეებში გამოვა მაღაზიებში. (საქინფორმი).

ხიდი გულიდან გულამდე...

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში ვ. ი. ლენინის ძეგლი ყვავილებით შეამკო უკრაინისა და საქართველოს შემოქმედებითმა ახალგაზრდობამ და ამით აღნიშნა თავისი ბანაკის გახსნა. მისი ახლანდელი შეკრება მიეძღვნა ორი მოძმე ხალხის მეგობრობის მეხოტბეს, დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უკრაინაში და რომლის 275-ე წლისთავი წლიულს სრულდება.

საღღესასწაულოდ არის მორთული კომკავშირული ქალაქის საქტო დარბაზი „კოსმოსი“. აქ თავი მოიყარეს უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელებმა, ორი მოძმე რესპუბლიკის კომკავშირულმა მუშაკებმა და აქტივისტებმა.

— დღეს დიდი მოვლენა, დიდი დღესასწაული გვაქვს, — თქვა შეხვედრის გახსნისას საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. შარტავამ. — უკრაინისა და საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის ბანაკი მეგობრობისა და ძმობის, ინტერნაციონალური ერთიანობის ბანაკია. ეს

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიხსნა უკრაინისა და საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის ბანაკი

არის დებისა და ძმების, ორი მოძმე ხალხის — უკრაინელი და ქართველი ხალხების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელთა მეგობრობასაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული. და დიდად სიმბოლურია, — ხაზი გაუსვა მან,— რომ ეს შეხვედრა ეძღვნება 275-ე წლისთავს დავით გურამიშვილისა, პოეტისა და მეომრისა, რომელმაც უკრაინაში პოვა მეორე სამშობლო. და აქვე წარმოგვიდგება ლესია უკრაინკასი — როგორც უკრაინელი, ისე ქართველი ხალხების შვილის, დიდი კობზარის — ტარას შევჩენკოს, დიდი აკაკის სახელი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი ხალხების კულტურული კავშირურთიერთობის ფართოდ განვითარებას, შემოქმედებითი მეგობრობის აყვავებას. ეს ქვეყანა არ გვეპარება, — თქვა ამბ. შარტავამ, — რომ ჩვენი ახლანდელი შეხვედრა კიდევ ერთ შესანიშნავ რტოს გაახარებს ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობის მარად მწვანე, მარად აყვავებულ, მძლავრ ხეზე.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს გ. ენუქიძეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური, კომიტეტის სახელით იგი გულთბილად მიესალმა უკრაინისა და საქართველოს შემოქმედებითი ახალგაზრდობის ბანაკის ყველა მონაწილეს, უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა მომავალი შეხვედრის ფარგლებში, დიდი წარმატებები XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, მშვიდობის, შრომის, მეგობრობის, ქართველი და უკრაინელი ხალხების, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის ძმობის შესახებ ახალი ნათელი ნაწარმოებების შექმნაში.

უკრაინისა და საქართველოს ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე, რომლის შესანიშნავ ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდა მეგობრები, ქვეყნის [illegible] ფორუმის, წინ მიდა საქმიანობა. [illegible] ბანაკის [illegible] ბანაკებში [illegible] თავიანთ [illegible] გამოსვლებში ილაპარაკეს უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. პლოხინმ, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრის პრეზიდიუმის წევრმა, დრამატურგმა ლ. თაბუკაშვილმა, უკრაინის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა რ. მატეშუმ.

იმავე დღეს კომკავშირული ქალაქის სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიმართა ფერწერისა და არქიტექტურის დღის გახსნა. მისმა მონაწილეებმა იმსჯელეს უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა მიღწევებზე თანამედროვე სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის განვითარებაში. შემდეგ ისინი იყვნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ, ეწვივნენ ახალგაზრდა თბილისელი მხატვრების სახელოსნოებს.

(საქინფორმი).

მეგობრობის კანონებით

სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონის მშრომელთა დელეგაციის სტუმრობა ახმეტის რაიონში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის ცხრა თვის შედეგების შეჯამებით დამთავრდა.

სტუმრები შეხვდნენ ზემო ალვანის, ქვემო ალვანისა და ოქიოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს, გაეცნენ მათ გამოცდილებას. მათ დაათვალიერეს რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი სოფელ ქისტაურში, ჯარისკაცის სახლი სოფელ ყვარელწყალში, ზემო ალვანის სარწყავი სისტემის მეთაური ნაგებობა და თელავის რაიონისა და საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაბანი.

სოციალისტური შეჯიბრების შესახებ გეორგიევსკელთა და ახმეტელთა ხელშეკრულება პირველად დაიდო ოთხი წლის წინათ გეორგიევსკის ტრაქტატის — ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტის ხელმოწერის 20ს წლისთავთან დაკავშირებით. დაამობილებული რაიონების მშრომელები სისტემატურად ხვდებიან, უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას და ეხმარებიან ერთმანეთს. „ახმეტის რაიონის პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა ეჯიბრება გეორგიევსკის რაიონის მაისკის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას. შრომითი მეტოქეობა გაიშალა გეორგიევსკისა და ახმეტის ბიოქიმიური ქარხნების, ობილნენსკის მეფრინველეობისა და ახმეტის საბრიოლერო ფაბრიკის კოლექტივებს შორის. მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა აკავშირებს ორი რაიონის მექანიზატორებსა და მელიორატორებს.

მეგობრები მუდამ სიამოვნებით უწევდიან ერთმანეთს დახმარების ხელს. აი რამდენიმე მაგალითი. ახმეტელმა მევენახეებმა გეორგიევსკელებს გაუგზავნეს ვაზის ნამყენი ნერგები. მათი დახმარებით 300 ჰექტარზე გაშენდა ქართული „რქაწითელის“ ვენახი. ახმეტის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა ჯოგში ძროხების უმეტესობა ველის წითელი ჯიშისაა, ისინი აქ გეორგიევსკიდან ჩამოიყვანეს. გეორგიევსკელებმა ახმეტელებს გაანდეს უზვი წველადობის მიღწევის „საიდუმლო“, ახმეტის რაიონის სამრეწველო კომბინატის კოლექტივმა კი ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნა გეგმის გადაჭარბებით ამოცანები დაშაზადებული ათი ათასობით კვადრატული მეტრი პარკეტი კულტურის სახლისა და სკოლამდელი დაწესებულების შენებლობისათვის. სტავროპოლის მხარის ყანებში გაჩნდა სიმინდის უხვმოსავლიანი ჯიშები „პაპალაშვილის მრავალტაროიანი“ „ივერია“, „ჯავეთის თეთრი“, რომლებიც ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტ მარცვლეულს იძლევა.

ორი დამობილებული რაიონის მშრომელებმა სკკპ მომავალი XXVI ყრილობის აღსანიშნავად ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

(საქინფორმი).

ქართველ კოოპერაციონერთა მიჯნები

გაიმართა ცეკავშირის საბჭოს კრება, რომელმაც განიხილა სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები. მოხსენება გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავშვილიმ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კოოპერატორებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, მეათე ხუთწლედის წლებში შესამჩნევ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი მოავალმხრივი საქმიანობის ყველა დარგში. საექსპლოატაციოდ გადასცეს 87 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობი გეგმით გათვალისწინებული 80 ათასის ნაცვლად. სავაჭრო ობიექტებში ფართოდ გავრცელდა მუშაობის პროგრესული მეთოდები: მაგალითად, წლის დამლევისათვის თვითმომსახურების მეთოდზე გადავა 4 ათასზე მეტი მაღაზია. კარგად იმრომეს ცეკავშირის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლედის დავალება და გამოუშვეს 63 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია.

ამასთან, ითქვა კრებაზე, რესპუბლიკის კოოპერაციული ორგანიზაციების საქმიანობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ნელი ტემპით ინერგება მეურნეობის რაციონალური მართვის სქემები, ჯერ კიდევ სუსტია საშემსრულებლო დისციპლინა, ირღვევა კადრების შერჩევისა და განაწილების პრინციპი.

პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს კოოპერატორთა წინაშე მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. გათვალისწინებულია საქონლეწარეულის ბოცულობა 40 პროცენტით გაზარდონ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მოახმარონ 36 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ ხუთწლედში. ეს მოითხოვს სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მაღალ ორგანიზებულობას, დამატებითი რეზერვების, საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გამონახვას.

დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ორგანიზაციულ-მასობრივი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესება.

ცეკავშირის საბჭოს კრების მონაწილეებმა მიიღეს საქართველოს სსრ სამომხმარებლო საზოგადოებათა ცენტრალური კავშირის წესდება, შექმნეს საბჭოს მუდმივი კომისიები და დაამტკიცეს მათი შემადგენლობა. (საქინფორმი).

ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

8 ოქტომბერს მოსკოვში გ. მ. მარკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის სესია. მის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები.

სესიაზე იმსჯელებენ 1980 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობისათვის შერჩეულ ნაწარმოებებზე და მათი საჯარო განხილვის შედეგებზე.

ეკონომიკური მიმოხილვა

მზადების წელიწადი

● დათვალიერების პირველი ეტაპი ● დანერგილი და დასანერგავი ● დავეხმაროთ სიახლეს ● საზოგადოებრივი აზრი გვიკარნახებს...

ამ წერილისათვის „მზადების წელიწადი“ შემთხვევით არ დაგვირქმევია. წელიწადზე მეტია, რაც პარტიის და მთავრობის სპეციალური დადგენილების შესაბამისად ეკონომიურ პოლიტიკაში ნათლად გამოიკვეთა სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის ძირითადი მიმართულებანი, აპრობაციის წესით საბაზო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოწმდება მეურნეობის წარმართვის ახალი პრინციპები.

წლის დარჩენილ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა მოგველის. თავად გასაკვირი, ძირითადად სწორედ ამ თვეებში უნდა დამთავრდეს მუშაობის ახალ წესზე გადასასვლელი სამზადისი. კარზეა მომდგარი მეთერთმეტე ხუთწლედი, მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად. საბჭოთა ყაზახეთის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ „ახლა საგეგმო ორგანოებში, სამინისტროებსა და უწყებებში, საწარმოო კოლექტივებში პასუხსაგები მუშაობა მიმდინარეობს: დგება მომავალი ხუთწლედის გეგმები. პარტიას საჭიროდ მიაჩნია დასახოს ნამდვილად მასშტაბური ამოცანები, რომლებიც ყველა რეგიონს, ჩვენი უზარმაზარი სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს და ამავე დროს— ეს ამოცანები უსათუოდ რეალური უნდა იყოს“.

მიაქციეთ ყურადღება ამ უკანასკნელ მოთხოვნას — ამოცანები უსათუოდ რეალური უნდა იყოს. მაგრამ რა არის საჭირო იმისათვის, რომ მომავალი ხუთწლედის ამოცანები უსათუოდ რეალური იყოს? უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ყველგან ღრმად, რეალურად დავეუფლოთ მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებს, მუშაობის ახალ პრინციპებს.

ეჭვსგარეშეა, რომ ამ თვალსაზრისით რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება. განხორციელდა დიდი ორგანიზატორული, სამეცნიერო-მეთოდიკური, საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული ხასიათის ღონისძიებანი. სამეურნეო დარგის მუშაკები სულ უფრო ღრმად სწავლობენ დადგენილების საფუძველზე გამოსულ ნორმატიულ დოკუმენტებს — მეთოდიკურ მითითებებს, დებულებებსა და ინსტრუქციებს.

მუშაობის შეჯასების ახალი კრიტერიუმები შემოწმებას გადის რესპუბლიკის 60-ზე მეტ საწარმოსა და სამშენებლო ორგანიზაციაში.

გარდაქმნა, საერთოდ, და, კერძოდ, ეკონომიკის წარმართვის მექანიზმის ასეთი მასშტაბური გარდაქმნა, ერთობ ძნელი საქმეა. ამის განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ნათლად იცი: რა უნდა შეიცვალოს, როგორ, ვის მიერ და რა გადებში.

მუშაობის ახალ წესზე გადასვლისათვის მზადების პერიოდში ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლაპარაკია საქმის არა მარტო ორგანიზაციულ, ტექნიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მხარეზეც, მთელი საგეგმო-ეკონომიკური მუშაობისადმი, მართვის, მეურნეობრიობის მექანიზმის სრულყოფის საკითხებისადმი დამოკიდებულების შეცვლაზე“.

სწორედ ამოცანის სირთულემ განსაზღვრა ის, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მზადების პროცესის დათვალიერება-შემოწმების ორგანიზება ორ ეტაპად დაიყო. დათვალიერების სპეციალური დებულება კი მოითხოვდა დათვალიერების შედეგების მიხედვით გაგვეზოგადებინა საქმის ვითარება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, გამოგვენახა იმათი წახალისების ფორმები, ვინც უკეთ განახორციელა დასახული ღონისძიებები, მკაცრად მოგვეკითხა იმათთვის, ვინც ჯეროვან მნიშვნელობას არ ანიჭებს 1981 წლიდან საწარმოების ახალი მოთხოვნების შესაბამისად მუშაობაზე გადასვლისათვის მზადებას.

მუშაობის ახალ წესზე გადასვლისათვის საჭირო მოსამზადებელ პერიოდში დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა. ამ უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმის უნარიანი ხელმძღვანელობის თავიდათავი საკითხის არსის ღრმა გაგება, კომპლექსური მიდგომა, თანამიმდევრულობა, მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანათა გონივრული შეხამება გასლდათ.

მოსამზადებელ სამუშაოებს ძირითადად სწორად წარმართავდნენ ქუთაისის, ბათუმის პარტიული ორგანიზაციები, მსუბუქი, კვების, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროთა მუშაკები. მუშაობის ახალი პრინციპები, როგორც ეს ნავარაუდევიც იყო, სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება სამშენებლო-სამონტაჟო, სამეცნიერო-კვლევითსა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში.

და მაინც, მუშაობის ახალ მეთოდებს ალღო ყველაზე უკეთ საბაზო საწარმოებმა აუღეს. ამ 62 საწარმოდან ნახევარში ძირითადად მიმდინარე წლის პირველი ნახევრიდან დაიწყეს ნორმატიული წმინდა პროდუქციის დაგეგმვა და აღრიცხვა, 26 საწარმოში კი წლის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების კომპლექსურ დანერგვას.

ისევე, როგორც ყოველ დიდ საქმეს, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნასაც თან ახლავს სიძნელენი. სამინისტროებისა და საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი თანამიმდევრულად, სათანადო ეტაპების გავლით როდი ითვისებენ სამეურნეო მექანიზმის ყველა იმ სიახლეს, რომელთა დანერგვისათვის თითქმის ყველა პირობაა შექმნილი.

შერჩევითმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ზოგან მუშაობის ახალი პრინციპების დამკვიდრება თვითდინებაზეა მიშვებული. ამგვარ საწარმოებში გვიან გამოიცა ხელმძღვანელის ბრძანება მოსამზადებელ სამუშაოთა განხორციელების შესახებ. ზოგან საერთოდ არ შეუქმნიათ, ბევრგან კი მხოლოდ ფორმალურად არსებობს მოსამზადებელ სამუშაოთა განმხორციელებელი კომისია. ფაქტობრივად, ამ კომისიის ბევრმა წევრმა არც კი იცის, კომისიის წევრი რომ არის. და თუ იცის, ნათლად როდი აქვს წარმოდგენილი, რა ფუნქცია აკისრია. მეტწილად უგულისყუროდ არის შედგენილი ამ კომისიის სამუშაო-კალენდარული გეგმაც. არცთუ იშვიათად იგი საწარმოს ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა დუბლიკატს წარმოადგენს.

ზემდგომი სამეურნეო უწყებები ყოველთვის როდი უწევენ საწარმოებს დროულ და სწორ მეთოდიკურ ხელმძღვანელობას. სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებულ ნაკლოვანებებს სამინისტროთა სამუშაო გეგმებშიც ვხვდებით.

შეიძლება ითქვას, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადასვლის საქმეში სამრეწველო საწარმოებს პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები უფრო მეტ და კვალიფიციურ დახმარებას უწევენ, ვიდრე ისინი, ვისაც უშუალოდ ევალება ეს.

რესპუბლიკის დარგობრივი სამეურნეო უწყებების მუშაობა რატომღაც მარტოოდენ საერთო დებულებების, დირექტიული და ინსტრუქციული მასალების საწარმოებისათვის გაცნობით შემოიფარგლა. ამ ორგანოებში ეს მასალები თბილმის არავითარ სრულყოფა-გადამუშავებას აღარ განიცდის. მაგალითად, სამინისტროთა უმეტესობამ „ეკონომიჩესკაია გაზეტადან“ უცვლელად გადმობეჭდა და დაგზავნა საწარმოს პასპორტი იმ პირობითი აღნიშვნებით, რომლებიც საერთო ინსტრუქციაში იყო მოცემული. საწარმოებმა, სადაც საქმეს შემოქმედებითად არ უდგებიან, პირდაპირ დაიწყეს მათი შევსება. და რა მოხდა? იქ, სადაც ფორმის ზომის სიმეცრის გამო მონაცემები არ დაეტიათ, შეწყვეტეს კიდეც მონაცემების შევსება. ანალოგიური წესით დაგზავნა სხვა შეთოდიკური მითითებებიც. არადა, საჭირო იყო ეს დოკუმენტები შესაბამის დარგობრივ ინსტანციებში ჯერ თავად გულდასმით გაეაზრებინათ, პირობითი მაგალითი თავიანთი წარმოების მაგალითით შეეცვალათ, დაერთოთ სპეციალური განმარტება (სადაც გათვალისწინებული იქნებოდა დარგობრივი სპეციფიკა) და მხოლოდ შემდეგ გაეგზავნათ საწარმოებისათვის სახელმძღვანელოდ.

როგორც აღვნიშნეთ, მუშაობის ახალი წესით ექსპერიმენტულ შემოწმებას გადის 60-ზე მეტი საბაზო საწარმო. საბაზო საწარმოების მუშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი წარმატებით ართმევენ თავს მხოლოდ ერთ ფუნქციას — საექსპერიმენტოს. მაგრამ მთავარს — საბაზოს — ჯერაც ვერ ასრულებენ, ვერ ასრულებენ იმიტომ, რომ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების განზოგადებაზე ნაკლებად ზრუნავენ.

უნდა შევეხოთ ერთ ძალზე მნიშვნელოვან საკითხსაც. სამეურნეო დარგის მუშაკთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემა ამოიწურება მარტოოდენ საწარმოს პასპორტის შედგენით, ნორმატიული წმინდა პროდუქციის გაანგარიშებით, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმის დანერგვით. ეს, პირდაპირ უნდა ითქვას, მცდარი მოსაზრებაა. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემა სასურველ შედეგს მხოლოდ მაშინ მოგვცემს, როცა მისი ყველა ელემენტი ერთობლივად ამოქმედდება, მეტადრე, რომ ამ სისტემაში არის ისეთი საკითხებიც (დაგეგმვის, სტიმულირების, სამეურნეო ანგარიშის, ხარისხის სრულყოფის), რომლებიც თავისი მნიშვნელობით არათუ არ ჩამოუვარდება, სჭარბობს კიდეც ზემოთ ჩამოთვლილ ელემენტებს.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ჯერჯერობით ყურადღებას მიღმაა დარჩენილი ისეთი მნიშვნელოვანი ბომეტრი, როგორიც არის საგეგმო დავალებათა დაძაბულობის დონის განსაზღვრა. ამ სამუშაოთა დაყოვნების მიზეზად ასახელებენ იმას, რომ დარგობრივ უწყებებს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ შესაბამისი ორმატივები. მაგრამ განა ეს შეიძლება უმოქმედობის სერიოზულ მიზეზად დაასახელონ? ამ საკითხზე გამოსულ მეთოდიკურ მითითებებში (პუნქტი 14) ხომ გარკვევით არის აღნიშნული: იმ შემთხვევაში, როცა სამინისტროდან ნორმატივები არ არის მიღებული, უნდა დავეყრდნოთ დარგის მოწინავე საწარმოთა ფაქტობრივ მონაცემებს.

საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილში ფორმისათვის უფრო მუშაობენ, ვიდრე საქმისათვის. მოსამზადებელი სამუშაოები მიაჩნიათ თავიდან მოსაცილებელი, ვალმოსახდელ დავალებად. იმას როდი ფიქრობენ, რომ მოსამზადებელი სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულება თვით საწარმოო კოლექტივის ძირეულ ინტერესებს ეხება.

საქმეს დიდად ვნებს ისიც, რომ სამინისტროები თითქმის არავითარ კონტროლს არ უწევენ ადგილებზე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხს. ამიტომაც მოდის სამინისტროებში უსწორად შევსებული საწარმოს პასპორტები. მაგრამ ეს, სადაც სწორად, უმეცდამოდ შეავსეს, იგი აღარ გაუანალიზებიათ. ხოლო თუ სათანადოდ არ გაანალიზდა. საწარმოს პასპორტის შედგენას აზრი ეკარგება. მისი უმთავრესი დანიშნულება ხომ ის არის, რომ საგეგმო დავალებათა პროექტების შედგენისას ვიხელმძღვანელოთ საინჟინრო-ეკონომიკური გაანგარიშებებით. ამგვარი გაანგარიშებები კი, როგორც ცნობილია, განსაზღვრავს კიდეც გეგმების რეალობას, მის მეცნიერულ დონეს.

დადგენილებიდან, მეურნეობის გაძღოლის სრულყოფის ღონისძიებათა ჩანაფიქრიდან მის რეალურ ხორცშესხმამდე გრძელი და რთული გზაა გასავლელი. მიმდინარე წელი მუშაობის ახალ წესზე გადასვლისათვის მზადების წელია, ეა იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ პერიოდს, დიდად იქნება დამოკიდებული წარმოების ეფექტიანობასა და მუშაობის ხარისხზე მეთერთმეტე ხუთწლედში სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერება.

ამჟერად მკითხველს გავაცნობთ საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ორი საწარმოს — თბილისის საშენ მასალათა კომბინატის და გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის საქმიანობას, ამთავითვე შევნიშნავთ, რომ თვით ერთი, რომელიმე დარგის შიგნით ორი ახსოლუტურად იდენტური საწარმო არ არსებობს. მეტადრე ამ შემთხვევაში, როცა რადიკალურად განსხვავებულ ტექნოლოგიასთან და საწარმოო კოლექტივებთან გვაქვს საქმე. ეს საწარმოები სულ სხვადასხვა პოზიციიდან უდგებიან უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის — მეურნეობის გაძღოლის ახალი პრინციპების სამეურნეო პრაქტიკაში დამკვიდრებას.

თუმცა თბილისის საშენ მასალათა კომბინატი არ შედიოდა ეგრეთწოდებულ საბაზო, ტექნოლოგიური საწარმოების რიცხვში, აქ, როგორც საქმის შესწავლამ გვიჩვენა, თანამიმდევრულად, გეგმაზომიერად ნერგავენ ყველა სიახლეს, რასაც კი მუშაობის ახალ წესზე გადასვლა ითვალისწინებს.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა დასანერგად კომბინატში დროულად მეიმუშავეს კალენდარული გეგმა. თუმცა, როგორც კომბინატის ხელმძღვანელობა მალე დარწმუნდა, ზოგიერთი სამუშაოს შესრულება ვადა ზედმეტად იყო გაჭიანურებული. სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებათა დანერგვის სამზადისის რესპუბლიკური დათვალიერების დებულების გამოქვეყნების შემდეგ სამზადისს კიდევ უფრო მიზანსწრაფული ხასიათი მიენიჭა. ასე რომ, დათვალიერების პირველი ეტაპისათვის ბევრი რამის გაკეთება მოხერხდა.

კომბინატში შესრულებულ სამუშაოთა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება გახლავთ საკუთრობა, მუშაობის ახალ პრინციპებს მთელი საწარმოო კოლექტივი გაეცნო. ეკონომიკური სწავლების სისტემაც იმგვარად გადაისინჯა, რომ ამ ისტორიული დადგენილების არსს თითოეული მუშაკი ჩასწვდენოდა.

ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლეს არა მარტო დადგენილება, არამედ მის საფუძველზე გამოსული მრავალრიცხოვანი ნორმატიული და საინსტრუქციო მასალა, მიუსაფაგეს ისინი მუშაობის კონკრეტულ პირობებს. იმ სამუშაოებთან ერთად, რომელიც დაკავშირებული იყო საწარმოს მუშაკთა თვრამეული ცოდნის გაღრმავებასთან, კომბინატში მიზანსწრაფულად ხორციელდება საწარმოს ნორმატიული ბაზის მომზადების პრაქტიკული სახის სამუშაოებიც.

საწარმოს პასპორტის შედგენამ საშუალება შექმნა უფრო ღრმად გაეანალიზებინათ 1976-79 წლებში კომბინატის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა.

საწარმოს პასპორტის შედგენის უმთავრესი მიზანი მაინც 1980 წლის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბების რეზერვების გამოვლენა და, რაც მთავარია, მეთერთმეტე ხუთწლიანი გეგმის საპროექტო დავალებათა მყარ ეკონომიკურ ბაზაზე დაფუძნება იყო.

საწარმოს პასპორტის შევსების შემდეგ გამოირკვა, რომ წლეულს კომბინატს აქვს შესაძლებლობა გეგმა-ვალდებულების გ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და სირიის არაბთა რესპუბლიკამ, რომლებიც შთაგონებული არიან სურვილით განამტკიცონ და განავითარონ მათ შორის დამყარებული მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობა ორივე სახელმწიფოს ხალხების, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმის, საერთაშორისო დაძაბულობის განმტკიცებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარების ინტერესებისათვის.

აღსავსენი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით საკადრისი პასუხი გასცენ იმპერიალიზმისა და მისი ხელშემწყობების აგრესიულ პოლიტიკას, აკლავაც ებრძოლონ კოლონიალიზმს, ნეოკოლონიალიზმს და რასიზმსა და ყველა მის ფორმასა და გამოვლინებას. მათ შორის სიონიზმს, მხარი დაუჭიროონ ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სოციალურ პროგრესს.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ორივე ქვეყნის თანამშრომლობის განგრძობას ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების საქმეში.

ადასტურებენ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპებისადმი, მათ შორის სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებისადმი.

გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება და შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად განავითარონ და განამტკიცონ ორივე სახელმწიფოსა და ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობის, სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის, პატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყოველთვის შეუწყობენ ხელს საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მის ხორცშესხმას სახელმწიფოთა თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებით, სადაც საკითხების მშვიდობიანი საშუალებებით მოწესრიგებას, საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკიდან ომგამონაზმისა და აგრესიის პოლიტიკის ყველა გამოვლინების აღმოფხვრას.

მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ერთმანეთთან გამალებული შეიარაღების შეწყვეტის, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლის დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების, მათ შორის ბირთვული განიარაღების ამოცანათა გადაწყვეტაში.

მუხლი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, ხელმძღვანელობენ რა რასისა და სარეგალიზმისა და მისი ხელშემწყობების აგრესიულ პოლიტიკას, აკლავაც ებრძოლონ კოლონიალიზმს, ნეოკოლონიალიზმს და რასიზმსა და ყველა მის ფორმასა და გამოვლინებას. მათ შორის სიონიზმს, მხარი დაუჭიროონ ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სოციალურ პროგრესს.

მუხლი 4

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი პატივს სცემს სირიის არაბთა რესპუბლიკის მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება-განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

სირიის არაბთა რესპუბლიკა პატივს სცემს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ყველა ქვეყანასთან და ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება.

მუხლი 5

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ და გააფართოებენ აზრთა გაზიარების პრაქტიკას და რეგულარულ კონსულტაციებს ორმხრივი ურთიერთობის საკითხებსა და საერთაშორისო პრობლემებზე. და ორივე მხარისათვის საინტერესო უწინარეს ყოვლისა ახლოაღმოსავლეთის პრობლემებზე. კონსულტაციები და აზრთა გაზიარება მიეწყობა სხვადასხვა დონეზე, უწინარეს ყოვლისა ორივე მხარის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრების გზით.

მუხლი 6

ისეთი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც საფრთხეს შეუქმნიან ერთ-ერთი მხარის მშვიდობას თუ უშიშროებას, ან საფრთხეს შეუქმნიან მთელი მსოფლიოს მშვიდობას ანდა დაარღვევენ მშვიდობასა და უშიშროებას, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დაუყოვნებლივ დაამყარებენ კონტაქტს ერთმანეთთან იმ მიზნით, რომ კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ პოზიციებს და ითანამშრომლონ წარმოქმნილი საფრთხის აღმოფხვრისა და მშვიდობის აღდგენისათვის.

მუხლი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განახორციელებენ მჭიდრო და ყოველმხრივ თანამშრომლობას თავიანთი ხალხების სოციალური და ეკონომიკური მოღწევების შენარჩუნებისა და განვითარების, მათი ბუნებრივი რესურსებისადმი თითოეული მათგანის სუვერენიტეტის პატივისცემის პირობების უზრუნველყოფაში.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ იმას, რომ განუხრელად განმტკიცდეს და გაფართოვდეს მათი ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და წყლის რესურსების, ნავთობისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენების დარგში, აგრეთვე კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ეკონომიკის სხვა დარგებში, ეროვნული კადრების მომზადებაში. მხარეები გააფართოებენ ვაჭრობასა და ნაოსნობას ერომანეთს შორის თანასწორობის, ურთიერთხელსაყრელობისა და უმეტესი ხელშეწყობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ინფორმაციის, კინემატოგრაფიის, ტურიზმის, სპორტის დარგსა და სხვა სფეროებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ იმას, რომ გაფართოვდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მასობრივი ორგანიზაციების, მათ შორის პროფესიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების კონტაქტები და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა ცხოვრების, შრომის, გამოცდილებისა და მიღწევების უფრო ღრმა გაცნობის მიზნით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით
ლ. ბრეჟნევი

მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას სამხედრო დარგში ერთმანეთთან დადებული შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე თავიანთი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

მუხლი 11

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე აცხადებს, რომ იგი არ შეავ კავშირებში და არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოთა რომელიმე დაჯგუფებაში, აგრეთვე მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებასა თუ ღონისძიებაში.

მუხლი 12

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე აცხადებს, რომ მისი ვალდებულებანი მოქმედი საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს და ვალდებულებას კისრულობს არ დადოს რაიმე საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მასთან შეუთავსებელი იქნება.

მუხლი 13

ყოველი აზრთა განსხვავება, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაგების ან გამოყენების შესახებ, გადაწყდება. ორმხრივი წესით, მეგობრობის, ურთიერთგაგებისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

მუხლი 14

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს ოცი წლის მანძილზე მისი ძალაში შესვლის დღიდან.

თუ არც ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე აღნიშნული ვადის გასვლამდე ექვს თვეში არ განაცხადებს, რომ სურს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იგი ძალაში დარჩება მომდევნო ხუთი წლის მანძილზე და ასე იქნება მანამდე, სანამ ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე მიმდინარე ხუთწლეულის გასვლამდე ექვსი თვით ადრე წერილობით არ შეატყობინებს მისი მოქმედების შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

მუხლი 15

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება დამასკოში.

შედგენილია მოსკოვში 1980 წლის 8 ოქტომბერს ორ ცალად, თითოეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს ერთნაირი ძალა აქვს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის სახელით
ჰაფეზ ასადი

ფართო რეზონანსი

მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღების ღონისძიებათა კომპლექსმა, რომელიც საბჭოთა კავშირმა წარმოადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნიდან, ფართო რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ხაზს უსვამს რა საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების დიდ მნიშვნელობას, მსოფლიო საზოგადოებრიობა ამავე დროს გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მილიტარისტულ კურსს, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის კაცობრობას.

ჰანოი. მსოფლიო საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლთა მიზანია მშვიდობის განმტკიცება, გამალებული შეიარაღების ალაგმვა, ნათქვამია ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური ორგანოს „ნია ზანინ“ სარედაქციო სტატიაში. ეს წინადადებანი კვლავ დამაჯერებლად ცხადყოფენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ ხასიათს, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე აი უკვე ექვს ათეულ წელზე მეტია თანმიმდევრულად და მიზანსწრაფულად ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას.

ნიუ-იორკი. საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებენ შეიარაღებისა და ჩვეულებრივი შეიარაღების გადიდებაზე უარის თქმას, ბირთვული იარაღის გავრცელების გზაზე დაბრკოლებების შექმნას, ხელშეკრულების დადებას ბირთვული იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ, სავსებით შეესაბამება გახიარაღების გზით შემდგომი წინსვლის საქმეს, ნათქვამია საზოგადოების მსაზურ მეგობართა კომიტეტის განცხადებაში. ამ ღონისძიებების განხორციელება თავიდან აგვაცილებდა გამალებული შეიარაღების ახალ, კიდევ უფრო საშიშ გაძლიერებას.

საბჭოთა წინადადებები, ხაზგასმულია დოკუმენტში, უპირველად აქტუალურია.

ყველაზე საიმედო გარანტია

გ. ჟუსაკის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პრაღა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჟუსაკმა, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ პლენუმის გადაწყვეტილებას პარტიის მორიგი მე-16 ყრილობის მოწვევის შესახებ ფართოდ გამოეხმაურებიან ყველა კომუნისტი და საზოგადოებრიობის ფართო ფენები.

როცა ვაფასებთ ჩვენი პარტიის მთელი ჩვენი საზოგადოების მუშაობის შედეგებს, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ წარმატებით სრულდება ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის მე-15 ყრილობამ დასახა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტია, ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ყრილობას ეგებება იდეურად და ორგანიზაციულად შეკავშირებული, ხალხთან მტკიცედ დაკავშირებული, თავისი რიგების მაღალი აქტიურობით.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ მეექვსე ხუთწლედის მთავარი შედეგია სოციალური მიღწევების შემდგომი გაფართოება და ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ბ. ჟუსაკის მოხსენება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

სსრ კავშირთან ყოველმხრივი თანამშრომლობის მუდმივი გაღრმავება, შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის სულ უფრო ფართო მონაწილეობა, თქვა მან შემდეგ, ეფექტიანი ბერკეტია საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის დარგში, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია წინაღვუდგეთ ობიექტური გარეშე პირობების არახელსაყრელ ზემოქმედებას, რასაც იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ მომავალშიც.

ჩვენ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტას უწინარეს ყოვლისა ეკავშირებთ მეშვიდე ხუთწლედის გეგმების შემუშავებას. მე-16 ყრილობისათვის უნდა შევიმუშაოთ სოციალურ-ეკონომიკური დარგის ისეთი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკის შემდგომ გეგმიან, აღმავალ, შეწონასწორებულ განვითარებას.

საგარეო პოლიტიკის დარგში მთელი ჩვენი საქმიანობის საფუძველია, თქვა მომხსენებელმა, სსრ კავშირთან მეგობრობისა და კავშირის მუდმივი განმტკიცება, ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება, ეს არის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, უშიშროებისა და წარმატებული სოციალისტური განვითარების ყველაზე საიმედო გარანტია.

ჩეხოსლოვაკიას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად აქტიური წვლილი შეაქვს მშვიდობისა და სოციალიზმის პროგრესისათვის დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ძალების ბრძოლაში.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმის, პროგრესისა და მშვიდობის ძალებს შეუძლიათ ჩაშალონ იმპერიალიზმის დანაშაულებრივი გეგმები.

მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის სათავეში დგანან სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოები და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირი თავისი პრინციპული ლენინური სამშვიდობო პოლიტიკით, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, მსოფლიოში ფართოდ დაუჭერეს მხარი წინადადებებს, რომლებიც წამოაყენეს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიმდინარე წლის მაისში, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ ამას წინათ ალმა-ათაში წარმოთქმულ სტუდენტში ჩამოყალიბებულ სამშვიდობო ინიციატივებს, წინადადებათა კომპლექსს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა სავსებით უჭერს მხარს ამ წინადადებებს და აქტიურად მონაწილეობს მათი განხორციელებისათვის პროგრესული, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალების ბრძოლაში.



მეგობრობის მერიდიანებზე

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხახელობის ახალი საცხოვრებელი კომპლექსი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ერთ-ერთი უველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი რაიონია.

● ●

სურათზე: ამ ახლში სულ ახლახან იზეიმეს ახალმოსახლეობა.

ცაფ-საკლესის ფოტო.

საერთაშორისო ცხოვრება
დილის ჟურნალი

საკლესისა და ახალი ამბების საბჭოთა კორესპონდენტები გვეტყობინებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სჭირდება ეს მონაჭორი?

ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ საბჭოთა კავშირმა ამ დღეებში ირანს საბჭოთა იარაღის მიწოდება შესთავაზა, ირანის პრემიერმა კი ეს წინადადება უარყოო.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გავრცელებული ამ მორიგი უტოფარი სიყალბის ავტორები აშკარად იმ იმედით მოქმედებენ, რომ ტყუილების კორიანტელს თუ დააყენებენ, რაღაც სიმართლის მაგვარი რამ გამოუვათ.

ფაქტები კი მოწმობს, რომ იარაღის მიწოდების არავითარი წინადადება ირანისათვის საბჭოთა კავშირს არ მიუცია და, მაშასადამე, ირანის პრემიერს უარსაყოფიც არა უნდა ჰქონოდა რა.

მფრინავი ჯაშუში

ვაშინგტონის ადმინისტრაციამ საუდის არაბეთში გაგზავნა ოთხი თვითმფრინავი, რომლებიც აღჭურვილია შორი რადიოლოკაციური და მართვის აეაკსის სისტემებით, ეკიპაჟითა და 300 მომსახურე პერსონალით. ყოველივე ეს ხდება „ორმუზის სრუტეში ნაოსნობის შენარჩუნებისა“ და ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეების, ნაწილობრივ საუდის არაბეთის დაცვის საბაბით.

მაინც რას წარმოადგენს ავაკსის სისტემის თვითმფრინავი? ეს არის „მფრინავი რადარი“, რომელიც შექმნილია „ბოინგ-707“ თვითმფრინავის ბაზაზე. იგი იწონის 147 ტონას, დაახლოებით 10000 მეტრ სიმაღლეზე ავითარებს კრეისეიდოლ სიჩქარეს — საათში 670 კილომეტრს. საწვავის მარაგი თვითმფრინავს საშუალებას აძლევს მიწაზე დაუშვებლად იფრინოს 11 საათს. მისი სათვალთვალო სისტემებით შეიძლება დაკვირვება 400 კილომეტრი რადიუსის ფარგლებში ერთდროულად 600 სამიერო სამიზნეზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს ყველაზე უფრო ძვირი თვითმფრინავია.

1978 წლის დამლევს ნატოს ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ „მფრინავი რადარები“ სოციალისტური ქვეყნების საზღვრების გასწვრივ ჯაშუშური ფრენისათვის შეეყენებათ. ჯერ კიდევ მაშინ პარიზის გაზეთი „ფიგარო“ წერდა, რომ მათი გამოყენება შეიძლება არა მარტო მოწინააღმდეგის თვითმფრინავის აღმოსაჩენად, არამედ „თავიანთი საკუთარი თვითმფრინავების მართვისთვისაც“. თვით პენტაგონის გენერლები აღიარებდნენ, რომ ავაკსის სისტემის თვითმფრინავი საომარ ვითარებაში შეიძლება გამოიყენონ საჰაერო საკომანდო პუნქტადაც, საიდანაც უხელმძღვანელებენ სახმელეთო ძალებს. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახლო აღმოსავლეთში თავი მოუყარეს როგორც სახმელეთო, ასევე დიდ საზღვაო და საჰაერო ძალებს.

ვაშინგტონის გეგმების წინააღმდეგ

ნიუ-იორკი. პუერტო-რიკოს მოსახლეობამ დაიწყო მტკიცე ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის იმ გეგმების წინააღმდეგ, რომ მის ტერიტორიაზე დასახლოს კუბელი ანტისოციალური ელემენტების ნაწილი, რომლებიც ჯერ კიდევ ოცდა ხნის წინათ სიხარულით მიიღო შეერთებულ შტატებში პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა.

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება ჩვენი ქვეყნების მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ისტორიული ნიშანსვეტია ორი ქვეყნის ურთიერთობაში და ქმნის მტკიცე ბაზას, რომელზედ დაყრდნობითაც ახალ-ახალ იმპულსებს მივცემთ ორი ქვეყნის თანამშრომლობას, რომელმაც უკვე ახლა შეიძინა მრავალფეროვანი ფორმები და უნდა გახდეს კიდევ უფრო დინამიკური, ღრმა და ყოველმხრივი.

ხელშეკრულების დებულებანი მიზნად ისახავენ ჩვენი ხალხების ინტერესების, ჩვენს რაიონში სამართლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობისათვის, ისეთი მშვიდობისათვის ბრძოლის ინტერესების უზრუნველყოფას, რომელსაც მოჰყვება აგრესორების წასვლა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან, პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალ უფლებათა, და უწინარეს ყოველისა სამშობლოს მიწა-წყალზე დაბრუნების, თვითგამორკვევისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების უზრუნველყოფა.

ჩვენს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობას არაერთხელ დაუდასტურება, რომ მისი მიზანია ჩვენი ქვეყნების საერთო ინტერესებისათვის სამსახური და მთელ მსოფლიოში ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის მხარდაჭერა. ჩვენი ურთიერთობის განმტკიცება და ახლანდელი თვისებრივი ძვრა მის განვითარებაში შეიტანს წვლილს არაბთა ბრძოლაში კემპ-დევიდის მონაწილეთა შეთქმულების წინააღმდეგ, განამტკიცებს სოციალიზმისა და პროგრესის ძალების ბრძოლას საერთაშორისო ასპარეზზე. იმპერიალისტური შეტევის წინააღმდეგ.

და თუ არაბთა სოციალისტური ლორძინების პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი მთავრობებისა და ხალხების ნაყოფიერი თანამშრომლობა და მისი შემდგომი განვითარება მუდამ იყო ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტი, ამ მოვლენებიდან ეს თანამშრომლობა გახდა ის ერთ-ერთი მტკიცე საფუძველი, რომელსაც შეიძლება დაეყრდნონ მთელი მსოფლიოს სოციალიზმის, პროგრესისა და განთავისუფლების ძალები რეაქციისა და იმპერიალიზმის შეთქმულებათა მოგერიებაში.

ამხანაგო თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევ!

მეგობრებო!

მოგეხსენებათ, რომ კემპ-დევიდის შეთანხმებათა ხელმოწერის შემდეგ ჩვენს რაიონს გამბოროტებით ესხმიან თავს ამერიკის იმპერიალიზმი, სიონიზმი, სადათის რეჟიმი და მათი დამჭაშები. ამით მათ სურთ არაბ ხალხს წაგლეჯონ ამ საუკუნის დამდეგიდან წართმეული ხანგრძლივი ბრძოლის ნაყოფი, ჩვენი ხალხის მასებს წაართვან სოციალისტური მონაპოვრები, მოსპონ პალესტინის პრობლემა, რეგიონს თავს მოახვიონ ისრაელის ბატონობა და ამრიგად მოაქციონ იგი ამერიკის იმპერიალიზმის გავლენისა და ბატონობის სფეროში.

უკავია რა თავის ძმებთან — სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტის ქვეყნებთან ერთად მტკიცე პოზიცია ამ თავდასხმების წინაშე, სირია გამოხატავს არაბი ხალხის ფართო მასხებსა ნებას, მის ურყევ გადაწყვეტილებას — დაიცვას თავისუფლება და თავისი ნების გამოხატვის დამოუკიდებლობა. იგი აგრეთვე გამოხატავს არაბი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას — გაათავისუფლოს ოკუპირებული არაბული ტერიტორიები და აღადგინოს არაბთა უზურპირებული უფლებები. ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი არაბი ერის, ჩვენი პოზიციების, პოტენციური შესაძლებლობებისა და ღონისძიებების გაერთიანების ინტერესებისათვის, რათა ისინი ემსახურებოდეს ამ მიზნების მიღწევის საქმეს.

ამ ხაზს რომ ვახორციელებთ, მაღალ შეფასებას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური თანამეგობრობის მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერას ჩვენი სამართლიანი ბრძოლისადმი, რომელსაც ვეწევით საკუთარი მიწა-წყლისა და უფლებების, აგრეთვე ჩვენი საერთო იდეალებისა და პრინციპების დასაცავად.

საბჭოთა კავშირის სახით გვყავს ერთგული მეგობარი, რომელიც მუდამ მხარში გვედგა აგრესიის წინააღმდეგ, ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლებისათვის სამართლიან ბრძოლაში. იგი მხარში გვედგა აღმშენებლობის საქმიანობის სხვადასხვა სფეროებშიც. საბჭოთა კავშირი მიგვაჩნია ქვეყნად, რომელიც რეალურ და ეფექტიან მხარდაჭერას ვაუწევს ხალხებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და დიქტატის ცდების წინააღმდეგ რომ იბრძვიან.

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარეე ლ. ი. ბრეჟნევ!

პატივცემულო მეგობრებო!

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა კაცობრიობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის იღვწის, რათა აღმოფხვრას დაძაბულობის კერები.

რაც უფრო დიდ მხარდაჭერას პოულობს მსოფლიოში დაძაბულობის შენელების პოლიტიკა, მით უფრო მეტად აწყდება იგი დაძაბულობის შენელებისადმი მტრულად განწყობილი ძალების წინააღმდეგობას, რომლებიც ცდილობენ კვლავ თავს მოახვიონ ხალხებს მსოფლიოს მიერ უარყოფილი „ცივი ომის“ ატმოსფერო, გაამწვავონ რეგიონალური კონფლიქტები და გააძლიერონ გამალებული ფაფარი. ამის უმრავი მაგალითია მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. სრულიად ნათლად ვხედავთ ამას ჩვენს რაიონშიც, სადაც ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც ინიღბება თავისი მშვიდობისმყოფელური მისწრაფებების შესახებ ყალბი განცხადებებით, იარაღით ამარაგებს ისრაელს, სამხედრო საჭურველს აწვდის სადათის რეჟიმს.

ამერიკის იმპერიალიზმი აშკარად აცხადებს, რომ უპირობოდ უჭერს მხარს ისრაელ აგრესორს და თავისი ერის მიმართ სადათის მოღალატურ კურსს, აქეზებს სადათს სხვა ხრიკები იხმაროს არაბი ხალხების წინააღმდეგ, განაგრძოს აგრესია, და ხელს უწყობს ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და ყოვლისმომცველი მშვიდობის დამყარების საქმის გაჭიანურებას.

აშკარაა, რომ ასეთ ვითარებაში უპირველესი და უმთავრესი საფრთხე, რომელიც ჩვენს რაიონს ემუქრება, ეს არის ისრაელის გაბუნწყვეტელი (აგრესია ამერიკის იმპერიალიზმისა და მისი აგენტურის მხარდაჭერით. სწორედ ამ საფრთხეს უნდა მიეპყროს ჩვენი არაბი ერის ყურადღება, კერძოდ კი ამ აგრესიის მოგერიებისა და ალაგმვისათვის საჭიროა მთელი არაბული ძალებისა და შესაძლებლობების დარაზმვა. ჩვენი არაბი ძმების ყურადღებას მუდამ მიეპყრობთ ამას და ვმოქმედებთ ამ მიზნების მისაღწევად არაბთა სოლიდარობისათვის იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ისრაელის აგრესიული ზრახვები უდევს საფუძვლად მის გახუნწყვეტელ მტრულ მოქმედებას სამხრეთ ლიბანში, არაადამიანურ აქციებს ჩვენი პალესტინის არაბი ხალხის წინააღმდეგ, დევნის ბარბაროსულ პრაქტიკას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე. სწორედ ეს ზრახვები ასაზრდოებს სირიის საწინააღმდეგო შეთქმულებას, რომლის განსახორციელებლად იმპერიალიზმი იყენებს თავის მარიონეტებს — დამნაშავეებსა და მოღალატეებს.

პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარეე ლ. ი. ბრეჟნევ!

პატივცემულო მეგობრებო!

ჩვენ ვეწვიეთ იმისათვის, რომ გაგიზიაროთ და დაგიდასტუროთ სირიელი ხალხის სიმპათიისა და მეგობრობის გრძნობები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისა და საბჭოთა ხალხისადმი, აგრეთვე გამოვხატოთ სირიელი ხალხის გადაწყვეტილება განამტკიცოს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა.

ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ ტრადიციული მასპინძლობისათვის, გულითადი მიღებისა და გულთბილი სიტყვებისათვის.

მივესალმები ძვირფას მეგობარს, პატივცემულ ამხანაგ თავმჯდომარეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დღეგრძელობას.

მივესალმები საბჭოთა კავშირის ხალხებს, და ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში.

გაუმარჯოს სირია-საბჭოთა კავშირის მტკიცე მეგობრობას!

ლ. ი. ბრეჟნევისა და ჰ. ასადის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად ისმოდა ხანგრძლივი ტაში.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკ.ესი).

შრომას იცავენ სტანდარტები

ქვეყანაში მოქმედი შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემა, რომელსაც შეადგენს 530-ზე მეტი სახელმწიფო და დარგობრივი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი, კიდევ უფრო განვითარდება. სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა 9 ოქტომბერს დაამტკიცა პროფკავშირებთან ერთად მომზადებული სამუშაოთა პროგრამა, რომლის მიზანია სისტემის სრულყოფა მრეწველობის ტექნიკური განახლებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების ფართოდ დანერგვის გათვალისწინებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებენ 49 სამინისტროსა და უწყების საწარმოები და ორგანიზაციები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, საკავშირო პროფსაბჭო, უდიდესი უმაღლესი სასწავლებლების შრომის დაცვის კათედრები. ისინი გაერთიანებული ძალებით შეიმუშავებენ 90 სახელმწიფო საერთო საკავშირო სტანდარტს.

შრომის უსაფრთხოების სტანდარტების სისტემის განვითარებისა და სრულყოფის პროგრამის შექმნაში მონაწილეობდა დაახლოებით ორასი ორგანიზაცია. ასეთმა ფართო წარმომადგენლობამ ხელი შეუწყო იმ მრავალი საწარმოო ფაქტორის გამოვლენას, რომლებიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის დაცვას ისეთი ფაქტორებისაგან, როგორიც არის ლაზერი, რენტგენისა და რადიაციული გამოსხივება, ულტრა ბგერა და ინფრაბგერა, სამრეწველო სიხშირის ელექტრული ველები და სტატიკური ელექტროენი. (საკ.ესი).

მეორე მსოფლიო ომის ბოლო ფრონტი

დასასრული

დასავლეთ გერმანიასა და პორტუგალიაში ჩატარებული არჩევნების შედეგები მოწმობს, რომ პოლიტიკური სტატუს-კვო ამ ქვეყნებში შენარჩუნებულია და ძალთა

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲗ

ᲪᲘᲡᲙᲐ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — 9:2 (0:0)

ᲕᲘᲜᲪ ტელეეკრანთან თვალყურს ადევნებდა მოსკოვში გუშინ გამართულ თბილისის „დინამოსა“ და ცსკას ფეხბურთელთა მატჩს, ადვილად შეამჩნევდა, რომ იგი წინა კვირას სპარტაკელებთან სნახაობრივად საინტერესო და ემოციურად წარმართულ შეხვედრას არ ჰგავდა. ეს განსაკუთრებით პირველ ტაიმს ეხება, რომელიც არმიელებმაც და დინამოელებმაც გადაჭარბებული სიღიზიით წარმართეს. ორივე გუნდი მოქმედებდა აუჩქარებლად, ნელი ტემპით და ამიტომაც ორივე კარის სიახლოვეს ვერც საგოლო მომენტი და ვერც სხვა რაიმე მწვავე სიტუაცია ვიხილეთ.

შესვენების შემდეგ მეტოქეებმა ტემპიც გაზარდეს, იერიშებიც უფრო სახიფათო და თამაშიც საპასუხო. ცხადია, ამას გოლის ზღვარზე მისული რამდენიმე მომენტიც მოჰყვა. და მიუხედავად ამისა, ორივე გუნდის წევრების ცდას წარმატებისათვის მიეღწიათ, დიდნაწილ შედეგი არ მოჰყოლია. რაც შეეხება მატჩის ბოლო ოც წუთს, თბილისელებმა თამაშის სადავეები მთლიანად იგდეს ხელთ და ფეხბურთელთა საინერციო ურთიერთმოქმედებაშიც სიზუსტემ შეაამჩნევად იმატა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ მოგებულ მატჩში დინამოელთა მცველების ჩივაძისა და ხიზანიშვილის განსაკუთრებული წვლილი. მათ საკმაოდ მაღალი სისწრაფით გაპაყავდათ პარტნიორები საინერციო პოზიციებზე და ყოველივე ამან აკი ნაყოფიც გამოიღო. ჯერ ქორძეს საკმაოდ შორი მანძილიდან სჯარიმო დარტყმით აიღო არმიელთა კარი (77-ე წუთზე), ხოლო შემდეგ სულ რაღაც ორიოდე წუთში დარასელიამ გაზარდა ანგარიში.

მაშ ასე, თბილისელებმა სტუმრად მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვეს — 2:0. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ მატჩის შედეგს დინამოელთათვის ერთობ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა: იმისათვის, რომ სატურნირო ცხრილში ერთი ნაბიჯით წაეწიათ წინ, მათ სწორედ არმიელები უნდა დაემარცხებინათ და ეს შეძლეს კიდეც.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჭილაია (კოსტავა), დარასელია, სულაქველიძე, ქორძე, გუცაევი (ჩელებაძე), კაკილაშვილი, შენგელია.**

თბილისელმა დუბლიორებმაც ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს. ბურთი ბეგი გაიტანეს მეშკოვმა და ქვანიამ.

ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 27-ე ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:

„**ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ**“ — „**ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ**“—0:0
„**ᲣᲤᲐᲠᲗᲘ**“ — „**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ**“ —1:0
„**ᲤᲐᲮᲗᲝᲩᲘᲠᲝ**“ — „**ᲪᲡᲙᲐ**“ — 0:2
„**ᲜᲔᲤᲗᲩᲘᲠᲝ**“ — „**ᲐᲮᲯᲐ**“ — 1:1
„**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ (Კ) — „**ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ**“—2:0
„**ᲨᲐᲮᲢᲝᲠᲘᲝ**“ — „**ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲪᲘ**“—1:0
„**ᲣᲣᲑᲐᲜᲘ**“ — „**ᲜᲔᲤᲗᲩᲘᲠᲝ**“ —0:2
„**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ (ᲫᲗ) — „**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ**“ (Ძ) —0:1

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ
10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ კ.	19	4	4	50-15	42
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“	14	9	4	35-18	37
„ᲜᲔᲤᲗᲩᲘᲠᲝ“	12	9	6	38-32	33
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ თბ.	13	5	9	38-25	31
„ᲨᲐᲮᲢᲝᲠᲘᲝ“	11	8	7	35-30	30
ᲪᲡᲙᲐ	11	8	8	28-26	30
„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“	9	11	7	30-27	28
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠ.“	10	6	11	26-29	26
ᲐᲮᲯᲐ	9	8	10	33-31	26
„ᲣᲤᲐᲠᲗᲘ“	9	8	10	25-34	26
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲫᲗ.	8	12	7	32-33	26
„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“	7	9	11	20-24	23
„ᲜᲔᲤᲗᲩᲘᲠᲝ“	7	9	10	23-29	23
„ᲣᲣᲑᲐᲜᲘ“	6	9	12	24-33	21
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢ.“	7	6	14	27-36	20
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Ძ.	5	13	9	21-26	20
„ᲤᲐᲮᲗᲐᲛᲐᲠᲘ“	6	7	14	20-35	19
„ᲙᲐᲠᲞᲐᲢᲘ“	5	7	15	17-39	17

ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲓᲐ...

ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲝᲗᲝ ტურის მატჩებით დამთავრდა მეორე ლიგის მეცხრე ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობა. გთავაზობთ ბოლო ტურის შეხვედრათა შედეგებს: ამხანაგის „კოლხოზჩი“-რუსთავის „მეტალურგი“ — 1:0, მინგეჩაურის „ვეტომობილისტი“-გორის „ლილა“ — 1:0, აბოვიანის „კოტაიკი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 3:0, ლენინაკანის „შირაკი“-კიროვაბადის „პროგრესი“ — 2:0, ზუგდიდის „დინამო“-ნახიჩევანის „არაზი“ — 2:0, სოხუმის „დინამო“-ლენქორანის „ხაზარი“ — 2:0, ფოთის „კოლხეთი“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 3:1, ბათუმის „დინამო“-ერევნის „არაბკირი“ — 2:1.

ამ ზონაში პირველობა რომ სამტრედიის „ლოკომოტივმა“ ერთი ტურით ადრე გაინაღდა, უკვე ვწერდით. ცოტა ხანში ისიც გაირკვევა, თუ აქ გამარჯვებული სამტრედიელთა კოლექტივი პირველი ლიგის საგზურისათვის რომელ ქვეჯგუფში იასპარეზებს. ახლა კი გადავხედოთ მეორე ლიგის მეცხრე ზონაში მოსასპარეზეთა გათამაშების ცხრილს, რომელიც მხოლოდ „ყარაბახსა“ და „შირაკს“ შორის მატჩის შედეგი არ არის შეტანილი:

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ“	18	7	5	43
„ᲙᲝᲢᲐᲘᲙᲘ“	19	4	7	42
„ᲐᲠᲐᲑᲙᲘᲠᲘ“	15	4	11	34
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Ლ.	15	3	12	33
„ᲙᲝᲚᲮᲝᲗᲘ“	15	3	12	33
„ᲙᲝᲚᲮᲝᲩᲘᲠᲘ“	14	4	12	32
„ᲮᲐᲖᲐᲠᲘ“	12	7	11	31
„ᲕᲔᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡᲢᲘ“	12	6	12	30
„ᲞᲠᲝ�გᲠᲔᲡᲘ“	13	2	15	28
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ბ.	12	4	14	28
„ᲓᲘᲚᲐᲚᲐ“	12	3	13	27
„ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ“	11	4	15	26
„ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲰᲘ“	11	4	14	26
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ Თ.	11	2	17	24
„ᲨᲘᲠᲐᲙᲘ“	5	12	12	22
„ᲐᲠᲐᲖᲘ“	6	7	17	19

ამრიგად, საქართველოს გუნდებმა — „ლოკომოტივმა“, სოხუმის „დინამომ“, „კოლხთამ“, ბათუმის „დინამომ“, „დილამ“, „მეტალურგმა“ და ზუგდიდის „დინამომ“ შესაბამისად პირველი, მეოთხე, მეხუთე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე და მეთოთხმეტე ადგილები დაიკავეს.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

ᲕᲘᲔᲜᲐ. ავსტრიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს უნგრეთის ნაკრები და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:1. ამ ამხანაგურ მატჩში თავი ისახელა ავსტრიის ნაკრების ახალგაზრდა წევრმა, 19 წლის კეგლევიჩმა. მან ორი გოლი გაიტანა.

ᲞᲠᲐᲰᲐ. ოლიმპიადა—80-ის ჩემპიონმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს. გიმორჭვეს სტუმრებმა ანგარიშით 1:0. მეჩვიდმეტე წუთზე ბურთი გაიტანა შტრაიხმა.

ᲕᲝᲚᲔᲘᲑᲝᲚᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. რიგაში გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ ვეფსა და ვილნიუსის „სტატიბას“ შორის. გიმორჭვა „სტატიბამ“—113:100 (61:59).

რედაქტორი
ბ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ



ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲐ — ქართული და რუსული სექტორები, მათ შორის **აგრომელიორაცია** (სპეციალიზაცია) — ქართული სექტორი;

ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲛᲝᲒᲐ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ქართული სექტორი;

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ქართული და რუსული სექტორები;

ᲡᲐᲢᲧᲝᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐ — ქართული და რუსული სექტორები;

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ-ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ — ქართული სექტორი;

ᲡᲐᲑᲭᲝᲭᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲨᲘ — ქართული სექტორი;

სასწავლებლად მიიღებიან საშუალო, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი. პირველ რიგში ჩაირიცხებიან ის პირნი, რომელთა სამუშაო შეესატყვისება უმაღლესში ამორჩეულ სპეციალობას, თუ ისინი ამ სპეციალობით მუშაობდნენ არანაკლებ ექვსი თვისა, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელდამთავრებული, რომლებიც მონათესავე სპეციალობებზე შედიან, აგრეთვე თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურენი. ამასთანავე ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ ის პირნი, რომელთაც საწარმოები, კოლმეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები გზავნიან იმ სპეციალობაზე სასწავლებლად, რომელიც შეესაბამება შემსვლელის მუშაობის ხასიათს, და რომლებიც წარმოადგენენ ერთიანი ფორმის მომართვას (ფორმა № 10).

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲔᲑᲘ შემსვლელნი მიხაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

Ა) ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚ (ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲒᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ), ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ-ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ბიოლოგია (ზეპირი)*, ფიზიკა (წერა), ქიმია (ზეპირი).

Ბ) ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — მათემატიკა (წერა)*, ბიოლოგია (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

Გ) ᲡᲐᲢᲧᲝᲔ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — მათემატიკა (წერა)*, ფიზიკა (ზეპირი), ქიმია (ზეპირი).

Დ) ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ-ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲣᲠᲚᲐᲠᲗᲐ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — მათემატიკა (წერა)*, ბიოლოგია (ზეპირი), გეოგრაფია (ზეპირი).

ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდებს **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** — ქართულ სექტორზე და **რუსულ ენასა და ლიტერატურაში** — რუსულ სექტორზე თხზულების სახით.

ინსტიტუტში შემსვლელნი, რომელთაც საშუალო, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები დამთავრებული აქვთ მედალზე ან წარჩინების დიპლომით, გამოცდებს აბარებენ მხოლოდ იმ ერთ საგანში, რომელიც დასახელებულ სპეციალობაზე აღნიშნულია ვარსკვლავით. ამ საგანში უმაღლესი („ხუთი“) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა საგნებში გამოცდებისაგან.

ორი საგნის ჩაბარების შედეგად მედალოსნებისა და წარჩინების დიპლომის მქონე აბიტურიენტთა ჩარიცხვის შემდეგ ქვემოთ დასახელებულ სპეციალობებზე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებმაც საშუალო სკოლა, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლები დაამთავრეს მაღალ აკადემიური მაჩვენებლებით, ატესტატში (დიპლომში) არა აქვთ მუდმივი ხელფასი, „დამაკმაყოფილებელი“ ნიშანი, ატესტატის (დიპლომის) საშუალო ქულა დაუმრგვალებლად 4,5-ზე მეტია:

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ (რუსული) — **მათემატიკა** (წერა), **ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ** (ზეპირი); **ᲐᲑᲠᲝᲜᲝᲛᲘᲣᲚᲘ** (რუსული) — **ბიოლოგია** (ზეპირი), **ფიზიკა** (წერა); **ᲡᲐᲢᲧᲝᲔ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝᲘ** (რუსული) — **მათემატიკა** (წერა), **ფიზიკა** (ზეპირი); **ᲡᲐᲑᲭᲝᲭᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲐᲖᲔ** — **მათემატიკა** (წერა), **ბიოლოგია** (ზეპირი), თუ ამ ორი საგნის ჩაბარების შემდეგ დაგროვებენ 9 და მეტ ქულას; ნაკლები ქულების დაგროვების შემთხვევაში განაგრძობენ გამოცდების ჩაბარებას ჩვეულებრივი წესით.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ 1980 წლისათვის დამტკიცებული პროგრამისა და მიღების წესების შესაბამისად. საკონკურსო შერჩევა იწარმოებს სპეციალობათა მიხედვით.

განცხადება მიღების შესახებ შემსვლელებს შემოაქვთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას თან ერთვის: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირები დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დიპლომის დანართს, სადაც აღნიშნულია სწავლის პერიოდში მიღებული შეფასებანი, დახასიათება, რომელსაც აძლევენ წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

იმ პირებს, რომლებიც არა აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, შეუძლიათ წარმოადგინონ დახასიათება, გაცემული იმ სკოლებისა და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელთა მიერ, სადაც ისინი სწავლობდნენ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, როშელშიც ნაჩვენები უნდა იყოს კაცდღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად უნდა წარმოადგინონ ცნობა, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით მეურნეობათა და სხვა საწარმო-დაწესებულებათა იმ მუშაკების მიერ წარმოდგენილ ცნობებში, რომელთაც არა აქვთ მუდმივი ხელფასი, აღნიშნული უნდა იყოს ყოველთვიური გამომუშავება და მეათითოს მუშაკის საშუალო გამომუშავება მოცემული წლისათვის. სასწავლებლებში მოვლინებულმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მიმართვა № 10.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: შრომის წიგნაკის ამონაწერს უნდა ჰქონდეს საწარმოს, დაწესებულების ან კოლმეურნეობის კუთხური შტამპი, რომელზეც ნაჩვენები უნდა იყოს გაცემის თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი. 4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 5. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4 სმ).

ინსტიტუტში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ პასპორტს და სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება 1981 წლის 15 იანვრამდე ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 10-დან 17 საათამდე. მისაღები გამოცდები მოეწყობა 1981 წლის 16 იანვრიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმდგ კომბინაში.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:

თბილისი — კრწანისი 880 107. საქართველოს ზოოტექნიკურ-საევტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი.

ავტობუსი № 23.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ-ᲡᲐᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ 1981 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲪᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲣᲬᲕᲔᲗᲔᲚᲘᲐ ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲥᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:

ᲖᲝᲝᲡᲐᲜᲘᲢᲠᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ (ქართული და რუსული სექტორები) — **ᲖᲝᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ.**

ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲝ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ: (ქართული სექტორი) — **ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ.**

ზოოსაინჟინრო ფაკულტეტზე მიიღებიან შესაბამისი საშუალო სპეციალური ან საშუალო და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებიც მუშაობენ არჩეული სპეციალობით.

სავეტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო ვეტერინარული განათლება და პროფფილით მუშაობის 2 წლის სტაჟი.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: **ბიოლოგია** (ზეპირი), **ქიმია** (ზეპირი), **ფიზიკა** (ზეპირი). ინსტიტუტში ყველა შემსვლელი აბარებს წერითს გამოცდას **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** — ქართულ სექტორზე და **რუსულ ენასა და ლიტერატურაში** — რუსულ სექტორზე თხზულების სახით.

ოქროს ან ვერცხლის მედალოსნები, საშუალო სპეციალური და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ბიოლოგიაში. აღნიშნულ საგანში ფრიადი (ხუთი) შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „ოთხი“ ან „სამი“ შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც.

მისაღები გამოცდები მოეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამისა და მიღების წესების შესაბამისად. საყონკურსო შერჩევის დროს უპირატესობით სარგებლობენ წარმოებიდან მოვლინებულნი და საშუალო რგოლში მომუშავე პირები.

განცხადება მიღების შესახებ მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და აღნიშნონ არჩეული ფაკულტეტი. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2. დახასიათება (დამოწმებული უნდა იყოს სამი ხელმოწერით და მითითებული იყოს თარიღი) უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები. 3. ცნობა საწარმოო მუშაობის სტაჟის შესახებ — ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, როშელშიც ნაჩვენები უნდა იყოს კაცდღეების რაოდენობა წლების მიხედვით. საბჭოთა მეურნეობის მუშებმა შრომის წიგნაკის ამონაწერთან ერთად უნდა წარმოადგინონ ცნობა, რომელშიც აღინიშნება მათი გამომუშავება თვეების მიხედვით მეურნეობათა და სხვა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და საცხოვრებელი სახლების მფლობელთა საყურადღებოდ!

ᲐᲮᲚᲝᲛᲓᲔᲑᲐ ზამთრის თბობის სეზონი — ხანძრის მხრივ წელოწდის ყველაზე საშიში პერიოდი.

ამ დროს მეტ წილად ხანძარი ჩნდება გაუმართავი სათბობი ხელსაწყოების გამოყენების და მათი საექსპლოატაციო რეჟიმის დარღვევის, ჭვარტლისაგან გაუწმენდავი საკვამლე მილების, ელექტროგასათბობი ხელსაწყოებისა და გაუმართავი ელექტროგაყვანილობის ექსპლუატაციის გამო.

ხანძრებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო და საქართველოს მეხანძრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საბინაო მეურნეობის მუშაკებსა და საცხოვრებელი სახლების მფლობელებს წინადადებას აძლევს დროულად განახორციელონ ყველა საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიება სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ზამთრის თბობის სეზონისათვის მოსამზადებლად.

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, თქვენზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡრ ᲨᲘᲜᲐ�გᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲜᲐᲠᲗᲝ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲮᲐᲜᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲑᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Თ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ

აცხადებს დაუსწრებელ ასპირანტურაში მიმდინარე წელს დამატებითს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ზინერალოგია: საშენი მასალები და ნაკეთობანი.

მიღების პირობები გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტში“ ამა წლის 18 ივლისს.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲮᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

☐ 13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.25 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას (ფ.), 17.55 — განცხადებები, 18.00 — დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს ჯერსნსკაია თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან (ფ.), 20.30 — „ჩვენი სფუმრები“, 21.00 — „მომბე“ (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები — „ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.45 — „კოცერგი, 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.55 — ინონარკვეი, 16.05 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 16.50 — განცხადებები, 16.55